



შაბათი, 12 ქრისტეშობის. № 50 — 1915


ვასი  
10. გ.

მიღება ხელის მოზერა 1916 წ. გურ.

„თეატრი და ციცვება“<sup>“ზე”</sup>

(წელიწადი მეოთხე. — იხ. მე-16 გვ.)

წლიურად 5 გ., ნახ. წ. 3 გ., 1 ფ. 50 კპ. ცალ-  
კ ნომერი 10 კ.—ხელის-მოწერა მიღება „სო-  
ლაპან“ის სტამბაში. ძისმართი: თბილის რედ.  
თეატრი და ციცვება“ ი. იმედაშვილი.



ჭოლა ლომთათიძის დაკრძალვა

(ქაშვეთის ეკლესიის ეზოში, ეგ. გეგემკორი სიტყვის ამბობს. — გადაღე-  
ბულია ფოტოგრ. ნ. გ. სილაგაძის მიერ)

კვირას, 13 ქრისტეშობ. საორმოცვა პანშეიდა წმ. ნინოს ეკლესიაში.

12 ქრისტეშობისთვის

ნუ დაიშურებ ცხოვრება ჩვენი ერის იმ ჭეშ-  
თითო აგურს! მოქადან, ხულია, რო-

მელნიცი, პირადი ბერნიკების უარყოფით,  
სულით და გულით საზოგადო სამსახურს მას-  
ცემიან... მიიღონეთ ვაჟა-ფშაველა, ლალი  
ბუნების შეისა, რომელიც სამკურნალო სა-  
რეცეპტე მწოლარე შემოგვლადადებდა —  
სალხნო, მე თქვენი ქალაქური წამალი ვერას  
მოშეველის, გამიყვათ, ჩემს საყვარელ მთის  
ფოთოლ-ბალახში ჩამაგორეთ, მასუნთქეთ უმან-  
კუ ბუნების საღი ჰაერი, — აი, რა მოუხდება  
ჩემს ჯანსაო! — მაგრამ ეს ჩვენ ვერ შევუსრუ-

ლეთ ჩვენის უქნარობით და თონესავრთ გაუნურებულ თათაში ულროვიდ ამოვახრჩეო!

რა ვაჟა! რამდენია დღეს კიდევ მის დღეში, რომ ნორჩი სიცოცხლე მომქმეთა კეთილდღეობისათვის შეეწირავს, სამშობლოს სანთლდღიდ დანორჩია და, ყოველგვარი სახს რს მოკლებული, გაჭირვებაში ნაადრევად იწვის და სიდება!..

ჩვენი ბედუუშმართი საზოგადო მუშაკი თუ მოგვაგონდება როდისმე, მხოლოდ უკანასკნელ უამს, როდესაც უდროოდ ცივს სამარეს მიესვენება...

და ის კი გვავიწყდება, რომ „მაგდარსა დარას უშეების ჩვენი ცრემლება შწევია!“

დღემდე ჩვენის დაუდევრობით პევრი სასარგებლო მაჯა უდროოდ დაგვიღუნებია!..

მაგრამ, როგორც სჩანს, მსხვერპლს უქმად არ ჩაუვლია: ვაჟას ულვთო სიკვდილმა კი ერი მოგვაფხანინა... მაღლიანმა ადამიანებმა განიზრახეს, მ ღვაწენი ცოტათი მაინც უზრუნველყო უანსა გაქირვებისასო: ქართული კულტურის მთევარებთა საზოგადოებამ თავს იღვა ფრიად საპატიო საქმე — ქარ ველ მოღვაწეთა აგარაკის აშენება წალვერში და ფულის შეკრებასაც შეუდგა. ამ აგარაკის საძირკვლის ჩეყრაში თავისი წელილის შექანა. განუზრახეს ხარფუხის საზოგადო კლუბის მამასახლისთა საბჭოს, რომლის თასისნობითაც მომშევალ შებ, 19 ქრისტეშმბისთვეს ხარფუხის კლუბის დარბაზში ვაჟა-ფშაველას საღამო იმართება აგარაკის ასაშენებელ თანხის სასარგებლოდ...

ორივე მიზანი — ძეირფასი მეოსნის ხსოვნის პატივისცემა და მისი სახელობის აგარაკის ასაშენებლად შემოსავლის გადაცემა — დიდად საგულისხმოა და საზოგადოების ყურადღების ღირს.

გაშ ნურავინ დაიშურებს თითო აგურს მაინც ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად

### 3. უალიკაზვილი ავად არის!



ავად არის ჩვენი სცენის განახლების ერთი ქურუმ. თავანი, მ.ღალ ხელოვანი მსახიობი, გონიერი რეჟისორი და ნიჭიერი მწერალი ..

დღემდე კანტი - კუნტად მოსულ ხმებს ყურადღებას არ ვაქცევდით: გვეგონა ავადმყოფაბას ადვილად დაახშევდა თავს, მაგრამ უკვე დანამდვილებით შევიტყეთ, რომ მძიმე სენით — ჭლექით ყოფილა შეპყრობილი და საფუძვლიანი მკურნალობა ეჭირვება...

ჩვენი სცენის მუშაკთა ცხოვრების უკულმართობა პირობებმა, გზათა უკან სიარულმა, ბევრჯელ ნაკლებულებამ, განიადაგებულმა შრომამ უდროვოდ დასურ ჩვენი სცენის თვალისაჩინო მომავალში უფრო დიდი სარგებლობის მომცემი...

მუდამ გულუხვ ბაქოს ქართველ საზოგადოებას განუზრახეს აფაღმყოფი მსახიობი ამ ზამთარს სოხუმს გადიყვანის სამკურნალოდ, რაიც მისი დაზიანებული ფილტვებისთვის აუცილებლად საჭიროა... მაგრამ რაც უნდა ხელგაშლილობა გამოიჩინოს ბაქოს ქართველობამ, არა კმარა: საჭიროა სწრაფი ნივთიერი დახმარება აღმოჩენის თბილის — ქუთასისა თუ სხვა ლრამ, საზოგადოებათ და ჩქარა სასურველ პირობებში მოათავსონ ჩვენი ეროვნული წინმსვლელობის ერთა დაუდალაკი მუშაკთაგანი...

ზოგისა თუ ბამბა ჩხრიალებს, ნუ თუ ქართველი სცენის ღირი მუშაკის — ვ. შალიკაშვილის — კავალიც არ ჩხრიალებს?!

თვით მის ამზანაგთაც ჰმართებთ თბილისა და ქუთასისში თითო წარმოდგენა გავმართონ, დასდგან თუნდა მისივე პიესები, და შემოსავლით ხელი გაუმართონ...

ეს დღესვეა საჭირო, რომ... ბოლოს თითხე არ ვიპინოთ.

ჩვენის მხრით კი ჩვენს საყვარელ მოღვაწეს ჩქარა განკურნებას ვუსურვებთ!..\*)

\*) ეს წერილი უკეთ აწყობილ-გაშვებული გვერდა, როდესაც ვ. გუნას წერილი (ს. ფ. 10 ქრისტეშ) წავიყითხეთ. პატივცემული მსახიობიც გულმხურვალედ მოუწოდებს საზოგადოებას ავადმყოფ მსახიობს დაეხმარენ.

# ქართველი მწერალი ქალები

დარია ახვლედიანისა და

მარიამ გარიული

ჩვენმა მწერლობამ სრა-სახლეებიდ. ნ ქონებშიაც შესდგა ფეხი... იყო დრო, რაღეს ც ქართულ საერთო მწერლობას შხოლოდ უმილესი წოდების პირნი და მეფენი მისდევდნენ: მათი მწერლობის საგანიც ხშირად მათებური იყო—ლთინი და შვება, კიკლუპთა თვალები და ლვინო!.. და თუ ხანდისხან ვინმე მათგანი ქახებისკენაც გ დიხედავდა, — ეს შორით, ზევიდან... თუ ასე იყო მამაკაც — მწიგნობართა შორის, რა უნდა ყოფილიყო ქალთა შორის?.. — მაგრამ მზეს სხივები ჩვენი ერის ფართო წრეებსაც მოფენია.

მწერლობამ ასპარეზი გაითაროვა, ღლეს თვით ხალხის შეილები, მდაბიო ხალხის წრილან გამოსულები სწერენ და მოვითხრობენ ხალხის ჭირ-ვ რამსა, მისწრავებასა და ყოფა-ცხოვრებაზე: ქართველ მუშა-ხელოსან-მწიგნობართა შესახებ შემდეგ გამოვლიარებით მკითხველს, ამ უმაღ კი გაკვრით მანც აღვნიშნოთ ორი ქართველი ქალის ნ-მოლვა-წენი, რომელთაგან ერთს — დარია ახელევდანისას — წელს ხუთმეტი წელიწადი შეუსრულდა, რაც მწერლობს, ხოლო მეორეს — მარიამ გარიულს — ათი წელიწადი.



მგრანი ქალი დარია გიორგი ქაჯაიძეს ასული ახელე დიანისა დაიბ. სოფ. ქაგანში (ქუთაისის მაზრა) 1873 წ. 25 მაისს. წერა-კითხვა დედამ ასწავლა, შემდეგ ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს, მაგრამ ავადმყოფობის გამო პირველ წელსვე თავი დანება და შემდეგ თვით განსამართლობის წერა-კითხვა დედამ ასწავლა, გაიკვლია მწაბის 15 წ. შესრულებული დრედა. მძიმე ცხოვრების ნარბის გამო.

ლექსი დაბეჭდი 1901 წ. ურ. „კვალ-ში“, ამას შემდეგ ითქმის ყველა ქართულ გამოცემაში ათავსებდა ლექსებს, ზოგჯერ წერი-

ლებსაც. 1912 წ. ცალკე შიგნად გამოვიდა მისი ლექსების კრებული „სევდის ჰანგები“.

მთავარი ჰანგი დ. ახვლედიანის ლექსებისა მართლაც რომ სევდა, სევდა საზოგადოებრივ უკუღმართ ცხოვრებით გამოწევები. მგრანი უმეტესად „მანთვის სტაის, ვისაც სიურმითვე ტანჯგა-გაება შესთვისებას“, მათგვის ლოცულობს, „გინც მუხტალ სიფლით შარად ტანჯულა მწარე ცხოვრებით არის გნებული“ და გულს უკლავს ის, რომ „ჯაჭვხეთ-სა ჭერას ჩეგინ ქეგუანა, ბუნებით ტურფა, შეგენებით სრულია“. თუმცა „უხმო ცრემლები, ირგვავ გდლებთა გულშესაზარი“ გულს უტან-ჯავს, მაინც ბრწყინვალე მოძავლის მტკიცე რწმენა ასულლებულებს, ამავე რწმენით აღავსებს მკითხველს და ყოველს მოუწადებს „ექმინ ჩაგრულს, მის ბეჭს გამოესარჩუნონ“. ჩანგი შ-სი შხოლოდ და შხოლოდ მოძმეთა საკუთალდევიდ ჰელერს, მგონის გული ამუხთალ სოფლით ტანჯულთათვის“. სძგერს: „თან ჩავიტან მე შავ სამარეში მოქმედის სიყვარულს და მწარე ცრემლებს! ა-ა.

თუ რა ძლიერი ძიგვარულითა აღზებული მამულისალმი, მისი ლექსი — „ქართველი დედის სევდა“ გვიჩვენებს .. მას სწამს, რომ ჩვენი ცხოვრება მუდან ბნელით არ იქნება მოცული, გათენდება და მოელის „რიჟრაჟის სიდებსა... მტარვალის მსახვრელი ხელი, „მთა გოლგოთას გულ-შესაზარი“ ამაყ გულს ვერ უტეხს: „თვით ადსასრულის მწარე წუთებში თავისუფლებას მიღეცემ საჭამისთ“ და ასეთივე გაუტეხელი რწმენით პსურს განმსჭვალოს სულ დაცემული თანამოძმეც:

„დღეს ტანჯგით გატეხილა  
სულს ჭდავადე ჭირ-ტანჯგაში,  
შევერთდა ჩაგრულთ ბანაკს,  
მთაშეურ ჩეგის ტაძარში..“

და შენს წყლულს თანაგრძნობას მოვაგებებთო...

მას ღრმათა სწამს, რომ:

„შალე შოგა შეგბის ღმერთი,  
მალე დაჭრავს ელფის ქარი,  
რისეგის ზეირთად გაღმისკედება  
შესმი. გულში ნაგუბათი!“



მეორე მწერალი ქალი  
მარიამ გარიუელი, არა ნაკ-  
ლებ გულდაკემსილი, ბედ-  
კრულ-დევნილთა ოხვრა-ეა-  
ებით დასევდიანებული. შე-  
მოქმედობის ხასიათით ცხრა-  
ას ხუთის შეილია... იგი მა

მარიამ გარიუელი, შინ გამოვიდა სამწერლო  
სამწერლო მაღლაწე- ასპარეზზე, როდესაც ჩენი  
ობის 10 წ. შესრუ- შეტბორებული, მაგრამ მძი-  
ლების გამო.

მედ მობუბუყე, ცხოვრება  
ერთბაშად შეირყა, აზვიროდა... კაცმა თავი-  
სი ბედი საკუთარი ხელით გამოქვედა, ამ  
მწერალ ქალზე ითქმის.

მარიამი, ლუკა თავეშვილის ასული რა-  
ტიანისა, მწერლობაში მ. გარიუელის სახელით  
ცნობილი, დაბ. ს. პატარა გუბში, ქუთაისის  
მაზ. 1883 წ. 22 მარტს. სწავლა სამშობლო  
ენაზე დაიწყო, ქართველ მწერალთა ნაწერე-  
ბის ნიმუშებს ჯახშივე გაეცნო, 10—12 წ.  
ქუთაისის „საღარიბო სასწავლეველში“ შეი-  
ყვანეს, სადაც უცხო ენას ვერ შეეთვისა, და,  
მშობლების უჩუმრად, დაწაფა ალ. ყაზბეგის,  
ეგ. ნინოშვილის და სხ. კითხვას. 15 წლისა  
თბილისში გაეცნო მოწინავე ახალგაზდებს,  
რომელთა გავლენითაც განვითარების უფრო  
გარკვეულ გზას დაადგა. ორ სეზონს ქუთაი-  
სის დასში მსახურებდა ვლ. მესხიშვილის რე-  
ჟისორობის დროს, მაგრამ თავი გაანება, მო-  
ლარედ შევიდა ქუთაისს წიგნის მაღაზიაში,  
შემდეგ მსახურებდა სამკითხველოში, აფთია-  
ქის საწყობში. 1904 წ. დაიწყო ქუხა-ქუჩა  
კალათით ქართული წიგნებას ტარება-ვაჭრო-  
ბა; წიგნებს ავრცელებდა ქაჩანა-სახელოს-  
ნოებში მუშათა შორის. ამ დროს ბევრს დას-  
ცინოდენ კიდეც. დაუახლოვდა მუშათა წრე-  
ებს, დაიწყო ს ხალხო წარმოდგენების შართვა  
რეინის გზის აუდიტორიაში, რომლის შემო-  
სავალს მუშათა კომისიას აბარებუა. არა ერთ-  
ხელ გაუჩხრებიათ მისი ბინაც. 1905 წ., სი-  
ღარიბით მოტეხალ-მოქანცული, ცალად გა-  
ჰყვა ერთს ახალგაზდას. თუმცა მწერლობას  
უფრო ადრე შეუდგა, მაგრამ პირველი მოთხ-  
რობა „ცხოვრების მხსევრპლი“ მხოლოდ  
1905 წ. დაბეჭდა „ცნობის ფურცელში“, ამის  
შემდეგ-კი თითქმის ყველა ქართულ ურნალ-

გაზეთში ათავსებდა მოთხრობებს და გამუდ-  
მებით თანამშრომლობს „ნაკადულში“. ზოგი  
მოთხრობა („ჯაშუში“) ცალკეა გამოცემული.

მ. გ.—ის შემოქმედების საგანია ჩვენი მუშა-  
შრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრება, მისი ყო-  
ველშერივი დ სურათება. მოძრაობის ანარეკ-  
ლი—თანამედროვე იხალი სახის მუშა და მისი  
მისწავლება-ლტოლევილებანი უტყურად აღ-  
ბეჭდილია გ—ის მოთხრობებში. შინაური პი-  
რობები—ხელმოკლება და თოხი წვრილი  
შვილი—ჰიორეკენ მის უფრო ნაყოფიერად  
მუშაობას. დღემდე კრიტიკა არ შეხებია და  
ეს კი უმთავრესად იმითი აისხება, რომ მისი  
მოთხრობები, რომლებიც ერთ ვეება ტომს  
მაინც შეადგინს, ჯერაც გამოუცემელია და  
ურნალ-გაზეთებშია განვითარება.

ორივე მწერალი ქალის ნაწერებს ქარ-  
თველი მკითხველი ყოველთვის სამოვნებით  
წაიკითხავს და სასურველია მკითხველს ამის  
საშუალება მიეცეს...

ორივე მწერალ ქალს ვუსურვებთ შეტს  
მხნეობასა და ნაყოფიერ მუშაკობას სამშობ-  
ლო მწერლობის გასამღიღრებლად.

ოსებ არიმათიელი

## გამალეჭინეთ მაინც!..

(ამბავი სოფ. ცხოვრ.)

სოსიაშ „ოუას“ უკანასკნელი წვერი გა-  
მოაბა იღვის, შეუდგა კევრს, გადიწერა პირ-  
ჯვარი, მისწივ-მოსწია თოკით ცხენებს და  
არხეინად დახახა:

— აბა, ცხენებო, ერთი მარტათ დაუ-  
არეთ!..

ცხენებმა თავის მოვალეობა სწრაფად  
გ იგეს და ხალისიანად შემოურბინეს ახლად  
ჩაშლილ კალოს.

დედაკაცები რჩიათით შუა კალოში  
უანშლავლენ ძნის თავთავებს.

დედით იბოლი პატარა თმზიკო, რო-  
მლის მამა იმშია წასული, შვილის შვილი  
სისიასი, მარტათ დაბოდა კალოში და არ-  
ჩევდა სწორე ნაჯებს გიდელას დასაწნავად,  
სიღონია კალოს პირის ჩამოჯდარიყო და წა-

ლდით თავთავებს აშორებდა ულოებს, თან  
ხამუშ-ხამუშ ამოკენესდა:

— დედა გაგიქრეს, შვილებო!.. ვინ იცის  
ეხლა რა დღეში ხარა, ვინ იცის იმ ჩემი  
ცოდით საფსე გერმანიამ გაგიგმირათ ეგ ლო-  
მივით გულ-მკერდები.. ჰკვნესით, დედას  
იწვევთ საშველათ და მე კი... მე... თვალ-  
ნაცრიანი ვერას გშველით!.. აი, დაილოცა,  
ღმერთო, შენი სამართალი!..

სოსიამ, ყოველმხრივ დაჩაგრულ-დაკო-  
დილ გულის მქონემ, კევრზე მაინც შემოსძახ  
თავის ძველებური „ორიველა“.

მაგრამ მის შემოძახილ ოროველას ის  
ღიმიანი ელფერი აღარ ჰქონდა: უცხოს ასე  
ეგონებოდა თითქოს სოსიას ერიდებოდა ვი-  
სიმეო.

— ნეტავი ვიცოდე, რა გამღერებს, შე  
უტელებურო?! ორ-ორი ვაჟკაცი შვილი „გაენ-  
ში“ გყავს, არც კა იცი ცოცხლები არიან თუ  
მკვდრები... — წუწუნით და ამოხვრია შე-  
ნიშნა სიღონიამ.

— ეჭ, სიღო, ბევრი დარღითა და ბო-  
როტითაც არა გამოდის რა: რაც ქვეყანას—  
ის ჩერენ. ნათქეამია: გადამხტა გადასავლი, სხვას  
უარესსა მოველიო... გაგიგია თუ არა, სიღო,  
ეს „ლესკი“. ეჭ, რაც იქნება, იქნება!..

— აბა, თქვენი ჭირიმეთ, ცხენებო, ჰე,  
მიშეავ!.. აჩუ... ჰე, მიშეავ!.. შემოპრა  
შოლტი ცხენებს და თითქოს წელშიაც გაი-  
შალა სოსია.

ცხენებიც, იმათ ლაპარაჟზე მოღუნებუ-  
ლნი, თითქოს იზიარებდნენ პატრონის ჭირ-  
გარამს. სოსიას ხმაზე კი სწრაფად ცქვიტეს  
ყურები და ხალისიანად შემოსრიალეს კოხით  
მოჭედილი კევრები.

— მოდი, დედაკაცო, შეულექი ე კმიტ-  
სა. მე წაგალ, პატა მწვანე ბალას გამოუთი-  
ბამ ვენახში და უქციოთ კიდეც.

სიღონიამ სწრაფად შეასრულა სოსია  
ნათქეამი.

სოსიამ წამოავლო ხელი ნაშგალს, გა-  
დიგოთ მელავზე, თოკიც თან გაიყოლა და  
გასწიო ვენახისაკენ ბალასის გამოსათიბად.

ამ დროს, სოფლის კანცელირის წინ

მოერეკათ ცხენები გასაზომათ. სოფლის მწე-  
რელი და რამდენიმე ამორჩეული პირი ამოწ-  
მებდნენ ცხენების ავ-კარგობას სამხედრო ბეგ-  
რისათვის.

— გზირო, ყველას ცხენებია გამორჩეული?  
— არაყისაგან ჩახლეჩილი ხმით შესძახა  
მწერელმა გზირს.

— აბა, რა ვიცი, ყველაყასი იქნება, მა  
რა, რა ვიცი!..

— მიშქარავ!.. აბა კარგა დაუკვირდი?

— ჰო, ჰო!.. მიეცვდი, მწერელო! ღიმი-  
ლით გამოეპასუხა გზირი.



— აქედ მოდექი, რა გია ხრა! — მწერალმა  
გვერდზე მოიხმო გზირი და წასჩურტჩულა.

გზირი სწრაფად გაექანა და წუთსვე სო-  
სიას კალოზე გაჩნდა.

— ნათლიდედ, სოსია სადა ბძანდება?

სიღონიას გზირის დანახეაზე ელდა ეცა,  
გაფითრდა, გაყვითლდა და ლულლულით ძლივს  
უპასუხა.

— ვენახშია ბალასის გამოსათიბათ. რა  
იყო, ბიჭო, ჩემი შვილებისა ხომ არა გაგიგი-  
ათრა, რათა კითხულობ სოსიას?!

— შვილებისა კი არა, რას ამბობ, ნათ-  
ლიდედ, ცხენებსა ჰკრეფენ, ცხენებსა!..  
გზირმა აღარ დაუცადა სიღონიას მოთქ-  
მა-ტირილს და ვენახისკენ გაექანა.

გულ-ამღვრეული, ბრაზ-მორჩეული სოსია  
სცემდა ნამგლით ბალას. მგლნია უფრო იმის-  
თვის იყო გულ-მოსული, რომ მასი შვილე-  
ბი, რომლებიც ასრულებდნენ ყოველივე სა-  
ჯაფო სამუშაოს, ახლა შენ აღარ იყვნენ და  
ყოველივე საქმე თვითონ დაატყედა თავს.

გაბრაზებულს, თბევის დროს, გალესილი

ნამგალი შავი—დედა ვაზის ძირისთვის შოე-  
სველრეგბინა. ალმასივით ნამგალს ისე შეეჭრა  
ვაზი, რომ ვეღარ დაეძრო და ლანძლვით  
ეჯავებურებოდა. ამ ლროს გზირი თავს წაადგა.

— გამარჯობა, სოსიავ!

— გაგიმარჯოს! იყო გულცივი პასუხი.

აი, გაგვერანაში შენა!.. სისხლ-გაშრა-  
ლი ხელებით მისწიფ-მოსწია ნამგალი და ვა-  
ზის ძირს დაძრო.

— აი, ჩემი ცოდით აიმსოს გერმანია,  
რომ ამ დღეში ჩამაგდო.

— რას იზავ, სოსიავ, მარტო შენს თავს  
ხომ არ არის, ცველის კარებზედ არის მაგის-  
თანა აქლემი დაჩიქილი. გულ არხეინად ანუ-  
გეშა ცოტა შეზარხოშებულმა გზირმა.

— სხვა? შენ უაბბოთ არ გაირჯებოდი,  
კიდევ იქნება რამე ჩემა თავსა... სთქია!..

— რა უნდა გითხრა, სოსიავ, შენ ხომ  
იცი, დღეს ცხენების მოკრეფა, შენი ცხე-  
ნები კი კალოში გიბია.

— მერქ?!?, თითქმის შეპლრიალა შუბლ-  
შეპმუნილმა სოსიამ.

— მერქ და. . ხომ იცი ვის ხელშიაც  
არის: იმან შემოგითვალა: თუ ხუთ თუმანს  
ეხლავე გამომიგზავნი, ცხენები დაგრჩებაო, თუ  
არა და ეხლავ გავრეკამო, კალოსაც არ გა-  
მოგაყვანინებო.

— კაცო, ღმერთი არა გაქვსთ? ვინ მომცა  
ხუთი თუმანი? თითქმის ტირილით უპასუხა  
სოსიამ: დვინო მე არ გამიყიდნია და პური,  
სამუშაოთ კიდევ ახლო არ მიკარებენ. ვინ  
ოხერი შამუშავებს, კუდი ვერ ამიწევია.

— აი, სოსიავ, მე ხომ შეგატყობინე და  
მერქ რომ ინანო—ჩემი ბრალი არ იყოს.

— რას ამბობ, ეი, ოხერო, ვრლაც გდია  
ხარ!. . რა ჩემი შეიიღები შემომიტანდნენ: შენ  
ხომ იცი არი მყავს—ორავე „ვაენში“ არიან.

— იმ ერთი მამლისა არ იყოს: მე კი მი-  
ყივლია და—გინდა გათხნდეს—გინდა არაო!..  
შენ იცი, მე მიედიდარ. დაცინვის კილოთი  
სთქვა გზირმა და თან საჩქაროთ გასწია.

— ჯანდაბასა და მაუსავლეთში წადით  
შენ ცა და შენი გამომგზავნია. დაგრწყევლით  
ჩემთა სალოცავებმა! — მაღალის ხმით მისახა  
სოსიამ მიმავალ გზირს.

გზირმა სწრაფად მიირბინა მწერალთან,  
გადასუა ცველაფერი და თან დასძინა:

— შენცა და მეცა დედმამის სული ოთხ  
გრძელათ გაგვიხადა... მაშა... .

— ჰო, ახლა მე ვიცი. სტრაუნიკებო,  
ორნი გაჟყევით გზირსა, ეს გაჩვენებთ ცხე-  
ნებსა და ჩალავე აქ ამორეკეთ!.. ნებით არ  
მოჰყავს და ილანძღება კადეც!.. — უბძანა  
მწერელმა იქვე მდგრამ სტრაუნიკებს.

ბრძანება შესრულდა.

გაფიცხებულ კალოს მარდათ უვლიდნენ  
ცხენები. სიღონია თუმცა მოხუცი იყო, მაგ-  
რამ მაინც ყოჩალათ იდგა კევრზე და ხელვ-  
ნურად იარშიებდა ცხენებს.

— დიდელი, დიდელი!.. გენაცალე ტრაქ-  
ნიკები მგონია ჩვენთან მოდიან!.. შეშინებუ-  
ლის ხმით შეჟყვირა თამრიკომ, რომელიც მე-  
ორე კევრზე იჯდა.

მართალი გამოდგა.

— დააყვა, დედაკაცო, ე ცხენები. დაუ-  
ყვირა გზირმა სიღონიას. ცხენები დადგრენ.

— მოდით, გამოუშვით ცხენები!  
სტრაუნიკები მისცვივლნენ ცხენებს და  
გამოშვება დაუწყეს...



შეიქნა წიგილ-კივილი. სიღონიამ ვეღარ  
მოითხოვა, დაუწყო ლანძღვა გინება, თანაც  
ორივე ცხენის სადავე მაგრა ჩაებლუქა და არ  
ანებებდა.

— რა განდათ, თქვე კომლობა გაციებუ-  
ლები, შინილით ხომ ამოგებოცავთ, კა-  
ლო რიღათი გვლეწოთ?!.. კიოდა სიღონია  
და თან მათს ძალმომრებას იგერიებდა.

— პრიკაზია, პრიკაზი!.. როგორ შეგი-  
ლიანთ, ცხენები არ წარმოადგინოთ!?. ცვი-  
როდა გზირი.

— გამალეჭინეთ მაინც, თქვე დამსებულებო გააფთრებული ყვიროდა სიცონია და თან მაგრა ჩეკილია ხელი სადაცისთვის...

-- დახე ამას ეი! სამ-სამი კაცი უნდა და-  
გვიბრიყვოს?! კაცო, წავლეთ ხელი. სტრაჟ-  
ნიკები მისცივდნენ ხელებში, თითქმის თითე-  
ბი დაუგრიხეს სიდონის, და მაინც ვერ იქნა  
— ვერ წართვეს ხელიდამ სადავე.

— მაშველებთ, ქრისტიანებო! გამალეჭი-  
ნეთ მაინც!.. გამალეჭინეთ მაინც!.. შესაბრა-  
ლისი კილოთი კილდა სიღანია!..

— օ՛, ըսմբյալու! ցածրածն սկրայբոյք,  
հայ սալու լա լոնց չվաճառ ցածրայինեա տո-  
տցիօ, ա մշակունա, մոռյենա և սուսոնա լա ոյզը  
յալուս սանձուրու լուս վաճանց դասրությմբյունա  
տայու. Սուսուս թասկը սուսելու, պատու մշոյնա.

სოსიამ შორიდან შენიშვნა ეს უბედურება და აკიდებული ბალახით გამოექანა ყვირილით:

— რას ჩაღით, კაცო, ნუ მოკალით ე  
დედაკაცი. გადააგდო ბალახი კალოს პირას  
სოსიამ და შეეჭრა იმათ.

— რა განდათ, კაცო, გამალეჭინეთ მაინ-  
ცა ე კალო და მერჩ თავშიამც ქვა გიხლიათ...

— დაიკარგე იქით, ის ხომ აფთარი იყო  
და შენ უარესი იქნები! — დაუყვირა სტრაჟიკმა  
და ერთი მაგრათ ჩაარტყა თოფის კონდახი  
კისერში სოსიას. სოსია დაბარგანავდა, თვალთ  
დაუბნელდა, მაგრამ მაინც ფეხი მოიმაგრა  
და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩაჰერა ნამ-  
გალი გზისა, რომელიც ხელში შეტჩა ბალა  
ხის მოხსნის თროს.

— ეს სუ ყველაფერი შენი ბრალია და  
აი ესეც შენა. მიინც აღარა ვარ და აღარა,  
— ლრიალებდა სოსია: ვერ მოგეცი ხუთი თუ-  
მანი და იმისთვის მელეტავ?!. შესძინა სოსიამ  
გზირს და ნამგალი წამოუსვა. სტრაუნიკებმა  
რა დაინახეს გზირის სისხლი, კონდახის ცე-  
მით გაიგდეს სოსია... სანამ კანცელარიამდი  
მიიყვანდნენ, ექვსჯერ წაიქცა ნაცემი. ბო-  
ლოს თითქმის შიათრიეს და ჩაგდეს გომში.

გათენდა დილა. გომის კარები გააღეს.

— აღე, კაცო!.. უყვიროდა სლრანიკი.  
სოსიას პისუხი არ იყო.

— ରାଖ୍ୟ ଅଥ ଜ୍ଞାନାବ୍ୟାସା, ଦୀଳିଲୋ ଦୀଳିଲୁ ରାମ  
ଗାମନ୍ତୁଷ୍ଟିମନୀଙ୍କ, ମିଶିଲା ଶ୍ରୀରାଜନ୍ତିକୁ, ରାବୁପା ଫିଲ୍-



მომ კვლეული ყოვ.

სიღონია კეთილ მეზობლებს ჩაეწევინათ  
ლოგინში, მისცემოდა საშინელი სიცე და თან  
ბრუნვი:

-- გამალეჭინეთ მაინც... გამალეჭინეთ.  
გამა... გამა... ხამუშ-ხამუშ ამოილულლუ-  
ლებდა...

გაულეშვილი კალო აებულულებინათ. პა-  
ტარა თამჩიკო ფეხთით ეჯდა სიღონის და  
დაპალუბით კრემლიგზა ჩამოსტიოდა...

ის ეწამა... და უშიშრად,  
როგორც ლომი, შეხვდა ვნებას:  
ვნების შემდგომ მოელოდა  
აყვავებს, შევბა-ლენენს...

ଓ ଦ୍ୱାରିଲା ଗଲାଗତିକୁ,  
ଶୁଭମାନଙ୍କିଳି ମନୀଶାରାନାଳ,—  
ଓ ଦ୍ୱାରିଲା ଶବ୍ଦିକୁଳମଣ୍ଡଳୀ,  
ମନୀଶିଂହ ଜ୍ଞାନକିଳି ଅଧିକାନାଳ!

იგი მოკვდა?.. მაგრამ არა:

ლაილალა ლა ტანჯულმა

შეაჩერა გულის ძველა!..

Հայ. Իշխանություն

۹۳۳۰۵۰۸۰

საჩინო

(ვუძღვნი ვ. და დ. არვლედიანს)  
გნახე სმოთხე — ბაფნარი,

ବୀରଜ୍ଞାତିରୁ କାହାରେ କ୍ଷେତ୍ରରେ,  
ଶ୍ଵେତାବଦୀ କରୁଣା, ନାନାରା,  
ଫାମାରୁପଦକବ୍ୟାଳ କ୍ଷେତ୍ରରେ;  
ଥିବାର ଏ ମନ୍ଦରାଜର ଫାମରୁପଦକ  
କରୁଣାବ୍ୟାଳ କ୍ଷେତ୍ରରେ ବୀରଜ୍ଞାତି  
କାହାରେ କ୍ଷେତ୍ରରେ କରୁଣାବ୍ୟାଳ କ୍ଷେତ୍ରରେ,

ଯୁଗ୍ମାଳ-ଯୁଗ୍ମାଳ ପ୍ରଥ୍ୟେତୀ,  
 ଯୁଗ୍ମାଳ-ଯୁଗ୍ମାଳ ମତ୍ତେବୀଦ,  
 କ୍ଷାଣ୍ଟ୍ରୁଧୀର୍ଯ୍ୟବୀନତା ନେତ୍ରେତୀ,  
 ଏ ଶ୍ଵିତୀରେ ପାଞ୍ଚଦାମିଦ୍ୟେବୀ;  
 ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ, ମିଳିଲ ଉତ୍ସେଵନତା,  
 ପ୍ରକଟନବୀରେ ପ୍ରେତ୍ତେଜୀ ମନୁଷ୍ୟବୀର  
 ଏ ସାଂଦ୍ରୁମ୍ଭାଲିକ ମଧ୍ୟରୀନିତା  
 ପାଞ୍ଚମୀ ମେଲି ଶେତକିନ୍ଦରୀବୀର ...

କାନ୍ଦିଲେ ଏହି ରୋତ ପିଲିପିଲି ଥିଲା  
ଏହିକଣ୍ଠରେ ଗୁରୁତବରେ କାନ୍ଦିଲା,  
”ଶ୍ରୀମତୀ-ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତରେ“ ଶ୍ରୀରାଧାରୀଙ୍କରେ  
କୌଣସି ଉପରେ ଉପରେ କାନ୍ଦିଲା,  
ଶିଳ୍ପରକରଂ ଯାତ୍ରାକାନ୍ଦିଲା, କାନ୍ଦିଲା,  
ଶିଳ୍ପରକରଂ ଯାତ୍ରାକାନ୍ଦିଲା,  
ମତରେ କାନ୍ଦିଲା, କାନ୍ଦିଲା,  
କାନ୍ଦିଲା, କାନ୍ଦିଲା, କାନ୍ଦିଲା—

— 63 13 0 6 9 2 6 0 13 0

8

ვეხდავ ხეს სურო შემობევევია,  
ბორკელის მსგავსად, ბორკილის დარად  
და ეუბნება: „დამტორჩილენ,  
ნუღარ იჩევი მოუსვენარდდ“.  
ხე კი, მონაბით გულ განგმირული,  
თვის მტანჯველს ებრძვის, არ ეთანხმება,  
თუმცა დღითი დღე ძალ-ლონეს ჰყარგავს,  
და შესამჩნევლენდება, ჰემება ..

1

ასე, მეც ირგვლივ შემომეხვია  
მკაფიო კხოვრების რგოლები, რეალი;

ଶ୍ରୀ ପ୍ରଦୀପ ଶ୍ରୀଶ୍ରୀତିରକାତା:  
— ଏମିବେଳେ ଯିନ୍ଦାଟ ଧରିଦୟଙ୍କ  
ଠିକାରଣୀ ବାଲୁ କିମିରକା

რა უნდათ? რასა მოსთქვებები?  
„ჩემთ სამშობლო მხარეთ,  
მკრელი ტაქვს უგაიღოფები,  
საცოცხლე, შესძეე მწარეთ;  
თუმც სამოარ გაზაფხულზედა,  
დაგნეთის მზე და მოყარეთ,  
წელებები გაზის გულზედა,  
სისხლია მონარჩეო!

ଶେଷାଙ୍କ ଦୟାରୁଙ୍କ ନାହିଁ ଫେରିପାଇଲୁଣି,  
 ଶେଷାଙ୍କ ମୁଖୀଙ୍କ ଦୟାରୁଙ୍କ ମୁଖୀଙ୍କ ପାଇଲୁଣି,  
 ଶେଷାଙ୍କ ମୁଖୀଙ୍କ ନାହିଁ ରାଜୀତିରୁଣି,  
 ଶେଷାଙ୍କ ମୁଖୀଙ୍କ ରାଜୀତିରୁଣି ?  
 — ଶେଷାଙ୍କ ମୁଖୀଙ୍କ ଦୟାରୁଙ୍କ ପାଇଲୁଣି,  
 ଶେଷାଙ୍କ ମୁଖୀଙ୍କ ରାଜୀତିରୁଣି,  
 ଶେଷାଙ୍କ ମୁଖୀଙ୍କ ଦୟାରୁଙ୍କ ପାଇଲୁଣି,  
 ଶେଷାଙ୍କ ମୁଖୀଙ୍କ ରାଜୀତିରୁଣି !

ଶୁଣିବାରେ କଥାମନ୍ତରରେ  
ଏହା ଦେଖିବାରେ ମରି ଏହା ବାରିବା, —  
ଯଜ୍ଞପାତ୍ରଙ୍କାନ୍ ପ୍ରକଟିତିରେ ଏହାରେ କଥା,  
ଯଜ୍ଞପାତ୍ରଙ୍କାନ୍ ପାତ୍ରଙ୍କାନ୍ — ବାରିବା.  
ପ୍ରକଟିତିରେ କଥାମନ୍ତରରେ  
ମରି ଏହାରେ କଥାମନ୍ତରରେ

ଗୁଣ୍ଡାରୀଙ୍କ ନିର୍ମାଣ କରିବାରଙ୍କିରଣ!

ଗନ୍ଧା ଏକ ଶମିରଙ୍ଗ ଫୁଲଗଢ଼ି,  
 ତ୍ରୀନ୍ଦିଙ୍ଗ ଓ ବିଶିଷ୍ଟକାର୍ଯ୍ୟ?  
 — ଶେଷିବଳେଖି ଦୂରକୁଣ୍ଡଳ,  
 ଶୈଖିଶବ୍ଦ ପୁଣ୍ୟଶୈଖିରେ!  
 ଦୃଶ୍ୟବିଦିତ ବିଜଳାଶିଥିଲେ,  
 କାହିଁନାହିଁ ଶୈଖିଦାର୍ଯ୍ୟ,  
 ଏକମେଳ ଦୃଶ୍ୟ ଦାଢ଼ିଲୁଣ୍ଡି, --  
 ବିଜଳିକାରୀ ଦ୍ୱାରାଦର୍ଯ୍ୟ!  
 ଗର୍ବକୁଣ୍ଡଳ ଗନ୍ଧାକାର ଜ୍ଵଳନିବା,  
 ବିଶେଷିତ ଶତରୂପକାର୍ଯ୍ୟ,  
 କାହିଁନାହିଁ, କିମତ ତୁମ୍ଭାର ନିବା,  
 କାହିଁନାହିଁ ଶେଷିବଳେଖି! "

მათი მდგრადიან გაუსვევნი,  
დუდუნით ყალებულე ხტებიან,  
ცხოვრებით დაჭაბნებულნი,  
მედგარ აშითა სღებან;  
ყვავილნი თაგანა უკრავენ,  
მთანი ბანს ეუბნებიან,  
და სატრიფე—ქართველის დედას  
შევდას ევედრებიან...

## 6. ჩხილები

საჩინო 18 მარიამლბისთვე.

უდაბნოდ მექტა გზა გასავლელი,  
 ფეხებს მიწყლულებს ბასრი ეკალი  
 და მინც მივალ... აღთქმულ ქვეყანას  
 მიხატავს თვალწინ ვარდის ოცნება,  
 მაგრამ ვიღაცა მაფრთხობს, შეძახის:  
 „უკან დაბრუნდი, არა გაქცეს ნება.  
 უკან დაბრუნდი, თამამო მონავ!  
 ნუ ხარ ამაყი! ნუ ხარ თავედი!  
 თორებ გახსოვდეს, არ შეგიბრალებს  
 მოგლუნავს წელში სასტიკი ბედი  
 და, ვით ფოთოლი შემოდგომისა,  
 ძალ-მიღეული ძირს დაეცემი“...  
 მესმის ეს... ვატყონ, ვგრძნობ, რომ თან და თან  
 სუსტდება, პოი, ნაბიჯი ჩიმი

და ვფიქრობ: ნუ თუ, ცხოვრების კანონს  
დავემორჩილო, როგორც ხე სუროს,  
ნუ თუ, ჩემს სულში ღვთიური სწრაფვა  
ამოიშრიტოს, ამოიშროს:  
ნუ თუ მონურად მოვხარო ქედი,  
ვეღარ გავსცილდე განსაზღვრულ საზღვარს  
და, დაკოდილი გულის მაღამოდ  
მიგაროთ მხოლოდ ცრეპლთა ნიაღვარს!  
მაგრამ არას დროს... მე წინსელა მინდა  
თვით უკანასკნელ სისხლის წვეთამდის,  
მინდა ძანილი ჩემი სულისა  
ასცილდეს მიწას, აედექ ცამდის...  
და თუ ვერ შეესძლე, ჩემს რწმენის ტაძარს  
თვითვე დავანგრევ, გავანაზღურებ,  
უიმედობით დატვირთულ გულით  
იმ ნანგრევებში დავისადგურებ,  
დემონიური შხამით მოვსწამვლავ  
შეებით აღსაგე ცხოვრების შეილებს,  
და მათი კვნესით, მათი გოდებით  
თვით მე დავიტებობ გულის ტკივილებს ..

გ. მეგრელი შვილი



ლ. გ. დიმშა

სახელმწიფო სათათბიროს წევრი, პოლონეთის კოლოს  
ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანი, გარდაცვა-  
ლა, 18 გორგობისთვეს.

**პირველი.** კათალიკოსი თბილის როდის  
ჩამობრძანდა? ამბობენ სომეხთა პატრიარქიც  
აქ არისო.

**მეორე.** კათალიკოსი დღეს განთიადისას  
ჩამობრძანდება და სხვანი კი წუხელისვე წმი-  
ვიდნენ. სომეხთა პატრიარქიც ეს ორი დღეა  
მობძანდა ეჩიმიძინიდა.

**პირველი.** დღეს აქ რა ამბავია, რომ  
ხალხი მოჩეკეს? რალაც განცხადება იქნებათ?

**მეორე.** რა ვიცი, რალაცას აცხადებს  
მთავრობა... აი, გაიხედე აქევკენ თავალ-აზ-  
ნაურობა მობძანდება.

## II

იგინივე, ბაგრატ, ოთარ, რუსის ჩინოვნიკი,  
თავალი, აზნაური; ამათ გამოსვლამდის გა-  
მოდის რუსთა ჯარი. რომელიც მწერივად და-  
დგება სიცნის პირდაპირ; ქართველი ხალხი,

## დედაკაცები.

**ჩინოვნიკი.** მთავრობის განკარგულებით  
ყველანი მოწვეულნი ბძანდებით სიონის ტა-  
ძარში განსვენებული გიორგი მეფის პანაშვილ-  
ზე. მერე პარაკლისი იქნება გადახდილი და  
იმის შემდეგ რუსულს ენაზე გამოცხადებუ-  
ლი იქნება უმღლესი მანიფესტი, რომლის  
ძალით საქართველო შეერთების რუსეთს საუ-  
კუნოდ. ხეალ მანიფესტი, ამ სიონშვე, წა-  
კითხული იქნება ქართულად და ვანჭის ტა-  
ძარში სომხურად. თათრულად კი წაკითხული  
იქნება ხეალ დღის მეჩითში, საყოველთაოდ,  
რომ ყველამ იცოდეს ხელმწიფე იმპერატო-

## გეღი ქართლის

ისტორიულ ქრისტიან 4 სურათად  
(გაგრძელება. იბ. „თ. და კ.“ № 49)

ორი მოქალაქე.  
I

(სცენა წარმოადგენს მოედანს სიცნის ტაძართან.  
მეოთხესა და შესამე მოქმედებას შეა გადის ერ-  
თი კვირა)

**მეორე.** ვნახე, დიახ, ხელზე ვემთხვევ  
და მაკურთხა კიდეც!

**პირველი.** გუშინ ვერ წავედი მცხეთას  
გიორგი მეფის დაკრძალვაზე... ხალხი ბევრი  
იქნებოდა.

**მეორე.** ბევრზე-ბევრი! სვეტი ცხოვლის  
ტაძარში ტევა არ იყო და გალავანშიაც იმ-  
დენი ხალხი იდგა, რომ განძრევაც არ შეიძ-  
ლებოდა. დიდის ამბით და დიდებით დაასაფ-  
ლავეს მეფე.

**ჩინოვნიკი.** ღიახ, ღილა აღრინადვე მო-  
ბძანდწენ და ახლა ანტონ კათალიკოსთან უნ-  
და ბძანდბოზნენ, იმის სადამში.

**ოთარ.** (ერთს მოხუცს თავადს ხაზის) შენ  
არ გივირს, ბატონო ზაზა, რა კოტა რამ  
არის საჭირო ადამიანისა ჩეი?

କେତେ. ଏଣୁ ଶିଖିଲିବିଲୁ ନ୍ଯାଯିଗ୍ରହକ ପିଲାଙ୍କ କଥି?

ოთარ. აი, შექმედე... ეს ხალხი, ეს  
არის მცენტობან ჩამოსული, საღაც განსკვენე-  
ბულს გიორგი მეფის ცხედარს მწარედ დას-  
ტიროდა, ახლა, ისევ ეს ხალხი, რაღაც მხია-  
რულებას მიყეა, თითქო უხარის, რომ მეფე  
გარდაიცვალო! აი, ჩვენ კველანი ასეთები  
ვართ! ჯერ ცრემლი არ შეგვ შრობია თვალ-  
ზე, ვაცინით რაღაც მიზეზით.

**ზაზა.** ჰო, ხელა კი მივწერდი რასაც ამ-  
ბობ! ეჭ, ჩემო კარგო, ადამიანი დაუღრმე-  
ლია თავის გრძნობებში... ოთარ! შენ გააგვ-  
ბინე როგორმე დავით ბატონიშვილს ჩვენ,  
თავადნი ცალკე გვინახულოს როგორმე, სა-  
საუბრო რამე გვაქვს ჩვენ იმასთან.

**ოთამ.** ვეცლები, როგორმე მოვახსენო,  
მაგრამ არა მგონია, რომ ჩავიგდოთ ხელში,  
ვეზირს ისე მაგრა ჩაუკიდნია მკლავი, რომ  
დაიითს ერთს წამსაც არა შე ჩოდნიბა.

၆၁၃။ ရာ၏၊ အေ၏၊ ရုပ်တွင် ဖျက်စားခဲ့  
၍ မြတ်ဆုံးခဲ့သူ၏ အမြတ်ဆုံး အေ၏ အမြတ်ဆုံး

**ଜୀବନ.** ତାଙ୍କ, ଏଣ୍ଡାଙ୍କ ରୂପ୍ୟ ହିଁତର ପରିମାଣରେ

**ზაზა.** (ჩინოვნივეს) ერთი მიმდანეთ, ტა  
ძალში ჩვენი ს. მოვლელობა არის ვინმე?

**ჩინოვნიკი.** სიონჭი მთელი ქალაქის სა-  
მღვდელოება ბძანდება. ანტონ კათალიკოზს  
გარდა, სომეხთა პატრიარქი თავადი იოსებ  
არმუთაშვილი-მხარგრძელიკა ბძანდება.

**ଶାକୀ.** ଲାଗିତ ବାରୁନିଶ୍ଚୟିଲିଙ୍ଗ ସାଧଳା ପଦାନ-  
ଲ୍ଯବା?

ჩინოვნიკი. ანტონ კათალიკოზთან.

କେତେ ପ୍ରାଣୀଙ୍କର ମାନ୍ୟ ଏବଂ ଲୋକଶବ୍ଦରେ ହୁଏ ହାତିଲା ?

ჩინოვნიკი. ჯერ არა, ბატონი! კოვა-  
ლენსკისთან ომგორდაც ვერ არის კორს გან-  
წყობილებაში. (სითხიადან ისმის სამგლოვარო

გადლება სანა შეიძინება. შევღენ სითხში: ჩინოვნი-  
ბი, თთარ, ბაგრატ, ზაზა და თავადნი. სხვანი,  
გონი სცენაზე არიან, მუხლ მოიყრიან, ქვდებს  
იხდიან და ცოტას სანს გალობას უკრს გბდებენ)  
პირველი მოქალაქე. (შეორუს) შენ ა-  
ყობ, რა ჩინქოლი აქვს თავიდ. აზნაურობას?  
რაოგავს აპირობენ.

კოვალ. (ბერს) მამაო! უთხორით ამ ხალცებს  
ორიოდე სიტყვა იშის შესახებ რაც ახლა ტ-  
ძარში გამოვაკვლეთ.

ბერი. ბატონი ბძანდებით! ხალხნო! მო-  
ისმინეთ ჩემი სიტყვა! (უკედანი შეკვეუფებიან  
ბერის სახლდგეს. ბერი კიბეზედა სდგას, სხვა-  
ნი ძინს ჩამოგდეს. დავთი, კოგადლენსე, და-  
ზარევი, თოარი ერთს ჯგუფად დგანან, სხვანი  
შეღრე ჯგუფად.) რუსთა იმპერატორის რწმუ-  
ნებულია ვეზირმა გამოაცხადა იმპერატორის  
უმაღლესი ბრძანება, რომ დღეს მთელი სა-  
ქართველო სამუდამოდ შეუერთდა რუსეთს,  
რომელიც იქნება ჩვენი მფარველი ყოველს  
შემთხვევაში და რომელიც დავიცავს მტრი-  
სა აკლებისაგან. საქართველოს ბევრი მტრი  
ახვევია გარს! ამის შემდეგ დამშვიდება სა-  
ქართველო. დღეის შემდეგ საქართველოს  
მტრი აღარა ჰყავს. დღეის შემდეგ იცხოვ-  
რებთ ოქვენ ოქვენთა ოჯახებში უზრუნვე-  
ლიად, ტკბილად, უშიშრად, წყნარად! დღეის  
შემდეგ ხელში მახვილი და თოფ-ხმალ-იარა-  
ლი აღარ გეჭირებათ მტრისა მოსაგერებლად,  
მის ნაცვლად გეჭირებათ დედამიწის სამუშავო  
იარალი, ბედნიერ არს დღევანდები დღე რომ ჩვენ  
მოვესწარით მაღალს მფარველობას უუმშლავ-  
რესისა ხელმწიფისა მთელს დედამიწის ზურგ-  
ზედა! რაღა ჩვენ გველრას ეს დღევანდელი

დღე და ჩვენთა წინაპართა კი არა? ეს დღე არს აღმაღენელი ჩვენი ბედნიერებისა, ჩვენი კაცობრიობისა და დამამხობი არის ჩვენის უბედურობასა და უკიდურესის მდგომარეობისა! ბედნიერ არს ეს დღე ჩვენთა შვილთა შთამოებისათვის. ვინ მოგვცა ჩვენ დღეს ეს ბედნიერთა — ბედნიერი დღე?.. მაღალმა ღმერთმა, ყოვლად მცყრობელმა ცისა და ქვეყნისა და უუდიდესმა ხელმწეფება, მცყრობელმან მთელისა რუსეთისა! მაშ, ძმანო, ვადიდოთ და ვაჯიდოთ ჩვენი ხელმწიფე იმპერატორი მრავალ უძმიერ, მრავალ უძმიერ! ამინ!

**ხალხი.** ამინ! ამინ! ამინ! (ბერი ჩამოგაძირს და ხალხში გაერება)

**კოფალი.** (თავარს) გამოუცხადეთ ხალხს, რომ მე მომისმინონ.

**თავარ.** ხალხო, რუსთა ვეზირის სიტყვა მოისმინეთ!

**კოფალი.** მისმა უდიდეშულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა მომანდო მე გამოგიცხადოთ შემდეგი: დღევანდელ დღიდან თქვენი მთელი საქართველო, თქვენი მეფეთა ოჯახები, ყველა თქვენი ბარონიშვილი, ყველა საპატიო და წარჩინებული პირი, თქვენი ყველა სასულიერო წოდება, თავალნი და აზნაურნი, ყველა მოქალაქენი და სულ ყველა მცხოვრებისა საქართველოსა შეერთებულ არიან დიდი რუსეთის სახელმწიფოს, უკუნითიუკუნისამდე. იმპერატორი გპირდებათ თქვენ მოგანიჭისთ ყოველსა მცხოვრებელს თავთავისი ყოველ ნაირი უფლებანი და დაგრცავსთ ყოველი გარე მტრისაგან და შინაურის უწესებისაგან!

**ხალხი.** ამინ! ამინ! ამინ!

**კოფალი.** საქართველოს ყოველი შემოსავალი მოგხმარდებათ თქვენვე, თქვენის საკიროების მიხედვით, აღგედებინებათ თქვენი ათხრებული და მტრისაგან დაქცეული ტაძრები, ყლესიები, დაბა-სოფლები და ქალაქები, რომ საქართველოს ყოველი მცხოვრები მოპკილებდეს ხელს თავის კეთილ ცხოვრებას.

**ხალხი.** ვმადლობთ! ვმადლობთ! მრავალ უძმიერ იყოს სიცოცხლე ხელმწიფე იმპერატორისა, ამინ! ამინ! ამინ!

**კოფალი.** მომილოცავს, ბატონიშვილო, რომ დღეს აღსრულდა საქართველოს მცხოვრებთა დიდი ხნის გულის წალილი.

**ლაზარევი.** ბატონიშვილო! ჩემგან მიიღეთ უმდაბლესი მოლოცვა ამ უმაღლეს! ის წყალობისა და აგრედევ გულითადი მოლოცვა რუსთა ჯარის ყოველ მეომრისაგან!

**კოფალი.** ახლა სასახლეში წამობძანდით, ბატონიშვილო, ნაღამზე (ხელს ჩავდების და გავდების გაშეფერის თანარი და ბაგრატი, ლაზარევი. თავადაზნეურობა და მოქალაქენი დარჩებიან ხალხი დაიშვება, ჯარიც გავა)

### III

**ორი მოქალაქე;** თავადნი: ზაზა, ერეკლე, გელევანი, არჩილ, ნიკოლოზი, გივი, ბეგლარ, ნინიქა, ტატო, იოსები და ჩინოვნიკი.

**ჩინოვნიკი.** მადლობა ღმერთს, კარგად გათავდა მანიფესტის გამოცხადების საქმე!

**ზაზა.** ჯერ ვინ იცის, კარგად გათავდა ც არა!?

**ჩინოვნიკი.** როგორ თუ ვინ იცის? რასა ბძანებთ, ბატონო? (მანამდისინ ეს თანი ჭარაკაბენ, სხეანი სითნის გვერდით ჯგუფათა დგანან და ჩემად ჭარაკაბენ)

**ზაზა.** ჯერ ვნახოთ რა იქნება? კი არ ვინანოთ შემდეგში! ხალხი ჰაბარობს, ამინ, ამინს გაიძახოს და საქმეს კი ვერ მიმხდარა!

**ჩინოვნიკი.** ხვალ, ბატონო, ყოველგან იქნება კედლებზედ გაკრული ხელმწიფის განცხადება და მაშინ ხალხი დაწვრილებით გაიგებს ყველაფერს.

**ზაზა.** ხვალ ხალხი ამაზე მეტს რას გაიგებს, რაც დღეს გაივი!

**ჩინოვნიკი.** რა? ხომ არას აპირებთ?

**ზაზა.** არა! რას უნდა ვაპირებდეთ?

**ჩინოვნიკი.** მაშ აქ რისთვის დარჩით ყველანი, რატომ ბატონიშვილს და ვეზირს არ გაჰყევით სასახლეში ნაღიშვი?

**ზაზა.** დიახ, დიახ! გიახლებით, როგორ არა, გიახლებით! ჯერ აღრეა!

**ჩინოვნიკი.** მაშ წავალ, მოვახსენებ ვეზირს, რომ მობძანდებით!

**ზაზა.** თქვენი ნებაა!

**ჩინოვნიკი.** მაშ მე თავს განებებთ და მივდივარ.

**ზაჲა.** წაბრძანდით, ბატონო, თქვენი ნება არ არის? (ჩინთვისა გაფა)

კ. ყიფიანი

(გაგრძელება იქნება)



პოდპორო. მირონ ჩხერია  
(დაჭრილია)



ბიკენტი აბრაშია  
(მოკლულია)

## გ ა ნ ც დ ა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 49)

ილომ შუშანა რომ გაიტაცა, ბინდდებოდა: საღამოს ნიავი ნაზად დაჭქროდა, მზისგან გახურებულ ხეებს საამურად არხევდა; ხოლო ფოთლებს, ვაზის ფურცლებს, იქავ, ყვავილებს, ვით შეყვარებულთ, შექფუჩუნებდა და საამურად ახმაურებდა...

მოტაცებული შუშანა ილომ ცხენზე შემოსმული მოხუც მამილასთან მიიყვანა...

მამიდამ შეყვერა შუშანა დაბალ კარებით, ჯერ დერეფანში, შემდევ პატარა დარბაზში, რომლის კარებმა ისე დაიჭრიალა; თითქოს იქაურობას სასიამოვნო სტუმრის მოსვლა ამცნოო...

— მომიტევე, შუშანა, რომ აქაურობა არ წააგავს მამიშვილისა...

— არა, რას ამბობ...

თითქმის საყვედურის კილოთი მიუგო ილოს შუშანამა და მის მხრებს მიეყრდნო.

— მეუღლეთ ერთგულებამა და შრომა-მა სოფელი გააშენაო, ნათქვამია, შვილო, და თქვენ ხომ თავშესაფარი გაქვთ. — უთხრა მამიდამ—ახლა, შვილო! — მიმართა ილოსა— ჯვარს როდის იწერ?

— მაღვ, მამიდი ჩემო. — მიუგო ილომა

და შუშანას შეხედა. — აი, შუშანას მამას შეუთვალე და პასუხს ხვალ ველი...

— უარს მიიღებ...

— მაშინ, მეტი რა ღონეა, უკან დაგაბრუნებ...

— რას ამბობ! — წამოიძახა შუშანამა და საყვედურის გამომეტყველებით შეხედა, — ხომ იცი მე...

— მაშ, თუ აგრეა, ჩემო ყველავ, ხვალვე ჯვარს ვიწერ. დალოცვითაც, მშობლების ნაცვლად, მამიდი ჩემი დაგვლოცავს.

ამაზედ ძალა უთხრა რა, ხოლო სიყვარულის ალერსით შეხედა.

ამის მეორე დღეს ილომ, უარის გარდა, მუქარაც მიიღო შუშანას მამისაგან, რასაც არ მოერიდა და ჯვარდასაწერად ეკლესიაში წავიდა.

სოფლის თავში, პატარა გორაჭედა, პაწია თეთრი ეკლესია, რომელშიაც შუშანა და ილო შევიღნენ. „მეტად ღარიბი საყდარია“, — გაივლო გულში შუშანამა. არც იმ ჯვარია, ქალაქ გორში ჩემმა ბიძაშვილმა რო ჯვარი დაიწერაო, ხოლო გული კი ამაზე უფრო შევარდა...

ი, დააყენეს შუა ეკლესიაში, მარჯვნივ ამოუდგა ილო; ღმერთო! მის ბედნიერებას საზღვარი არა აქვს ..

მაგრამ, რაღაც ხმაურობა... ეკლესიაში ნაცნობ მამასახლისის ხმა შემოესმა:

— მოძღვარო, შეჩერდო! ქალი მოტაცებულია, ჯვარს ნუ სწერო.

— ილო კარიაშვილი დაიჭით! — შემოიძახა ბოქაულმა— ქალი ძალიდ მოუტაცნია, — აბა, ჩაფრებო, გაუკარით ხელები. — შემდევ მიმართა ბძანებით ილოს, რა შემოერტყნენ გარს ჩაფრები— იარალი გაქვს!

— საღვთო ტაძარში იარალი?... გაკვირებით მიუგო ილომა; ან რაში მინდოდა იარალი?..

— მოძღვარო! მიმართა შემოსილ ღვდელსა, რა დამშვიდდა ბოქაული, რომ მას ავაზაკთან არ ჰქონდა საქმე.

— ძლიდატანებით გაწერინებს ჯვარსა?

— არა, შვილო! — მიუგო მოხუცმა გამოცლილმა მოძღვარმა— ვაჟი უპოლოა, ქა-

ლიც გასათხოვარი; კარგა ვიცნობ, ორთავე წლოვანია; ვაეს „ბაშუორთი“ აქვს, ქალს ნათლობის საბუთი...

— ილო კარგაშვილმა ძალ თ მოიტაცა...  
— წამოიძახა იქვე ჩაფრებ შორის არტემია: ეგ ყაჩალივთ დაგვეცა...

— არტემი სლეულის! — მიმართა შუშანამ ბოქაულს, რა გამოარკვია არტემის ხმამ — ილოს მე ჩემისავე ნებით გამოვყე, ხოლო შენ კი, — მიმართა მკაცრ დ არტემია! — არტემ, მეზიზღები...

— და სრულ წლოვან ქალს, — დაუმატა მოძღვარმა, — ნება აქვს, ვანც სურს. იმაზე იქორწინოს; ამის გამო მე, მოძღვარმა, ილოსა და შუშანას ჯვარი უკვე დავწერე.

— ქალი! — ნება ყოფლებით წამოჰყოლია. — უთხრა ბოქაულმა არტემის: — აქ არც მოტაცება, არც ძალდატანება და ამიტომ ჩემი უკყოფნა უადგილოა.

შუშანას გაუკვირდა ბოქაულის ასეთი სამართლიანობა, იმის შემდეგ, რაც კი მას უნახავს მისგანვე მამის დუქანთან... აღარ გაიხსენა ყოველი და სიხარულით მიეკრა ილოს, რომელიც აგრესივ ამ გვარ მოულოდნობით გაოცებული ბოქაულს შესცემორდა.

უსაზღვრო ბედნიერედა ჰერმონძღვნენ თავს:

ერთ სული და ერთ ხორცი ვართო, — ფიქრობდა შუშანა, — მამის წყრომას კეთილი დედის ლოცვა ჩანარელებსო...

მაგრამ, ბედნიერების თანამგზავრია უბედურება...

ს გლასოშვილი

## ჰ რ ი დ ი პ ა ს მ ე თ ე

(მცირე გ ნმ რტება)

ესიძღვების ცირება კასტრან. ანდრინის შეირ დადგმულ უჭირდიბოს შევევა ს შესახებ, სხევათა შერთა, გაც ასაქართველოდა-ში, ბ. აღ. ასმეტელმაც დადგებით შესრეებოს ერთად, რეასთრის უარუთვით შესრეებზე და ასმანაგურად მიუთითა. ამ შეთავების დროს კა აღმოჩნდა: თუმცა რევილი წარმოადგინდა ბ. კან. ანდრინია რეინტარდონის იდენტია, მაგრამ ის სა

დამთს რეინტარდონისა, რომელიც ამ ტრადიციას ბ. გოფრიმნისტალის ინსცენირთბით სდგამს, ძალანან ცოტა უფოლა...

ამ გარემონტაგან ისკვნება რომ მიმართულება: ერთი — ბ. კან. ანდრინია, — მერე გოფრიმნისტალ-რეინტარდონისა და მათ მომხსრე ბ. აღ. ასმეტელისა...

უნდა ადინიშნოს, რომ „კოდიდინის შეფას“ წარმდგენის ერთ გარემონტაში ისრივე მიმართულება სცდება: როცა თვალებ დათხრილი ჭიათულის ქადაქს შერთდება, ბ. კან. ანდრინის რეინტარდონის დროს, მას (კოდიდინის) თვითი ასული წინ მიუძღვება... გოფრიმნისტალ-რეინტარდონის გამცნობის ბ. აღ. ასმეტელი კა თავის გრცელ წერილში ამბობს: მას (კოდიდინის) შეხვდიდ კაბიდან ჩამოარიცებულ და მარტოდ მარტო (ხაზი ჩემია. შ. კ.) ჭოხზე ბჯენით მიდის ქადაქიდანთ...

სწორედ აქ არის თოივე მიმართულების შეცდომა...

თვით სთეფალე შოქშედების შესახებ საკეთოდ არაუგრძელება ამბობს, მაგრამ ჭიათულის შეფას უთხა-არსებობის ისტრია და ამ ტრადიციას ტრილგრძის ნაწილის — „ანტიგონე“-ს შინაარის გვიშავლის, რომ დაბრმავებულ ჭიათულის წინ გაუძღვება მხოლოდ უფროსი ქალი — ანტიგონე... ამ ისტრილ წეშმარიტების უაღრესად დასაშრები მოვიყენან სიტემების უგეგვენს გადასიკურ მითოლოგიის ბერძნებულებების ბ. გ შეაბისას, რომელიც ერთ თავის ნაშრომში — თაზეას და ჭიათულის შეფას — ამბობს: „გაძევებულისადმი (კოდიდინისადმი) სიბრაზული შეხვდიდ მის ქადაქს გამოიხინეს... უშტროსი — ისმენა — დარჩა სახლში თავის მშებან, რათა, შეძლებისა და გვარად, მამის საქმისათვის ემსახურნა და, იმავ დროს, მასი ქამაგრ უთვილიერ; ხლოთ უფროსმა — ანტიგონეს — მამის გაძევება გაიზიარა და ბრძას წინამდგრად მოეგლინა. და, ამ, მამასთან ერთად შევდგა: და საზარელ მთგზაურების და, მამასაგითვე მშეგრ-მწუმარებლი და შემებულ უდინა ტექებში დაეხეტებოდა და სხვა... ამ კადმცემის კადიდი ანგარიში უნდა გაეწიოს...

ამის შესახებ ლაპარაკი ზოგს იქნება საჭირდაც არ მანენდეს, მაგრამ თვით ბ. აღ. ას-

မျှော်လွှာစွဲ နေမျိုးတန်ဆီပုံင်း (ဒါ အကမ် သဲ နေမျိုးတန်-  
ဆီပေါ်လွှာစွဲ၊ မာရီဝ် အမောင် ဖျော်ဆီပုံ အကြံ တရာ့တက်နေ ပါ။  
ယခုလူ ရေးမျိုးပါး၊ အကမ် သဲ မာရီပို့လွှာင်း၊ အကြံတရာ့  
ဖြော်လွှာစွဲဝါဝါ၊ အော်ချေ ဝါဖြော်စွဲဝါ ဖျော်ဆီမီးနှင့်ဖြော်လွှာင်း  
မာရီမီးပေးတွေဝါ၊ ငါလောင် စွဲလွှာင် မြို့မီးရွှေလွှာင် နှင့်ပါး...  
လဲ၊ အကမ် သဲ မာရီပို့လွှာစွဲ ဖြော်ဆီမီးနှင့်အပေါ် ပါ ။ အ-  
ဗျားမျှော်လွှာစွဲ အော်ချေ အာမာရီတွေဝါ အို့ပေးမှုစာလွှာပျော်ပေး၊ အမ်  
ပြီး ပုံမီးနှင့်ဖြော်လွှာင်းအော် ဖျော်လွှာင်း မားဖြော်စွဲနေ၊ အကမ်  
မီးပေးတွဲ ဖြော်လွှာစွဲဝါ မြို့မီးရွှေလွှာင် မှုံးရွှေလွှာင် နှင့်အပေါ်နေ၏.

ମୋ. କୁଳାଚିତ୍ତପାତ୍ର

## ბეჭნიერი ცხოვრება

... — ოცი საპალნე ღვინო მომივიდა ვკ-  
ნახში, ღვინო იყო მისთანა, რომე უშაფანც-  
კი „გასთან სირცხვილით გაწითლდებოდა. სი-  
მინდი՞ ქე მომივიდა გვარიანათ: ასთე ათ ძა-  
რამდი ქე ღავფუშვნიტე. ლობიო, ღომა თხი-  
ლი, ვაშლი და კავალიც მოვაგროვე ბლო-  
ბათ. ცხრამეტი საპალნე ღვინო გავყიდე, გვ-  
ვისტუმრე ვალები, ჩავაცვ-დავხურე ცოლ-  
შვილს, „შევ პაჩინკე“ სახლი, ლობგ-სასიმინ-  
დე, ვიყიდე ოჯახისოფეს კველაფერი ხელსაწ-  
ყო, გამევიკაზე მეც ახალ ჩოხა ახალოხში,  
ჩამევიტანე მთიდან შეშა... გამევმწყე კველაფ-  
რივ და დაუწყე ზამთარს მოლოდინი.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ, ჩემი სო-  
სია. რალა გიშამს: ზამთრის აღარ შეგეშინ-  
დება. სტურა რომ ბედნიერ ცხოვრებას მო-  
წერდინხარ ამ შირშილობის დროს.

— ე! ჩემო გოგია, რაც ეხლა გითხარ  
ეს ნამდვილი გგონია? სიძმარში ნავხე ყველა  
ეს. გუშინ ღამ ჩემ პატია ანანიას რომ გუთევე-  
დი ამაქს კორა ჰე ჩამძინებორა.

— შე კაცო, რას ამბობ! რა დაეგმართა  
ანაწილა?

— დღეს დოლას გარდამეცვალა, ჩემი ბი-  
ჭინია. ვერ ე-ტანა შიმშილი, ეხ!

ପ୍ରକାଶକ

## ქართული სახიობა

სახალხო სახლში სკონის მოყვარეთა წრემ  
კვირას 6/XII კ. შ.თირიშვილს რევისორობით „უდა-  
ნაშაულოდ დასჯილინ“ წარმოადგინა. ნ. დავითშვილ-  
მა (ატრაციისა და კრუზინისი), ღ. პირერეამ (კორენ-  
ტინის მომავალი).

კინისა) და დ. მგალობლიშვილმა (მილოვზოროვი) ცოცხლად წარმატადინეს ნაკისრი როლები. მხატვრული ხატებანი შექმნეს ნ გოცირიძემა (შმაგა) და ს. რომანაშვილმა-დეგებუაძისამ (გალიჩია). ა. მეტრეველის-გან (წერნ. მოვი) სწორედ არ მოველოდით, თუ ნაკისრ როლს ასე დ სძლევდა. მასხიობი გ. გელევანოვი (დუდუკინა გონიერად და ზომიერად თამაშობდა გ. ჯაბ ური (მუროვი) თავისებურ მიხერა-მოხერას, რომ ასცდენთ და და ტანისამოსიც შეეფერებინა, უკეთესი იქნებოდა. ნ თოიძეს (ტა-ია) როლი არ გაუფუჭებია. გრძელი ანტრაქტები მოსახტებებებილია. უსავანო

ს ს ი რ უ ს ე ი ს კ ლ უ გ ბ ი ქ ა რ თ . დ რ ა მ . დ ა ს მ ა ს ა მ შ ა -  
ბ ა თ ს , 8 /XII წ ა რ მ რ ა ლ გ ი ნ ა „პ ი რ ე ლ ი ბ უ ზ ი “ . ვ . გ უ -  
ნ ი ა ს , ვ . ა ბ ა შ ი ძ ი ს , ტ . ა ბ ა შ ი ძ ი ს , ე ლ ჩ ე რ ქ ე ნ ი შ ე ი ღ ი ლ ი ს ,  
ნ . თ ა ვ ი თ შ ე ი ღ ი ლ ი ს დ მ ე ა ლ ი ღ ბ ლ ი შ ე ი ღ ი ლ ი ს , ნ . თ ა ვ ი ძ ი ს ,  
ი . ყ ი ღ ი ძ ი ს , ი . მ ა მ ტ ა რ ი ს დ ა ს ს მ ა ნ ა ჭ . წ ა რ მ ც უ ც ხ -  
ლ ა დ ჩ ი ა რ ა . წ ა რ მ რ ა ლ გ ე ნ ა ს ჟ დ ა მ ს ტ რ ე ღ დ ი ღ - ძ ა ლ ი ს ა ს ზ ო -  
გ ა ღ დ ე ბ ა კ მ ა ყ ა ღ ი ღ ი ღ დ ა რ ა . „ხ ა რ ა ფ . კ ლ უ გ ბ ი ს “ ს ც ე ნ ა  
ა ხ ა ლ ი ღ დ ე კ ი ღ ა კ ი ღ ბ ი ღ დ გ ა შ ე მ ე ნ ი ღ რ ე ბ ი ა თ

ଶକ୍ତି- ଧରାମ ଦୁଃଖ ସାହାଲନ୍ଧ ସାହଳ୍ଯ ଓ ଜନ୍ମବାଦାତିରେ, ୨୩/XII ଫାରମ୍ର-ଦ୍ୱାରା ପାଇଥାଏଇଲେ ଏହାର ନାମ ହେଉଥିଲା „ମୁଖ୍ୟେର-ପଣ୍ଡିତ“ । ଫୁଲିଶୁନାଙ୍ଗୀର ହୃଦୟରେ ଉପରେ ଏହାର ନାମ ହେଉଥାଏଇଲା „ରାଜୁ ଏବଂ ମେରାଗ୍ରୀ—ଏକ ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ଦ୍ରବାଦୀ“ । ପାଇଥାଏଇଲେ ଏହାର ନାମ ହେଉଥାଏଇଲା କାରଙ୍ଗାଦ ହୀନାର୍ଥ । ମରୁବୁଲା ହାଲକି ଫାରମ୍ରରେ ପାଇଥାଏଇଲା ।

ნაბალადვეგზი, — გორგეს სახლევგზი ორშაბათს,  
7/XII მოისმინე ლექტრა ძველი ისტორიიდან, რო-  
მელაც მათქმევინა: „ჩვენი სახ უნიცერსიტეტი აყვა-  
კებს თავის ბანობრს!..“

ამ ლექციაშ და სხვა მრავალშა მაგალითშა და-  
მარტინუნეს, რომ ჩვენ, ჩვენდა საბედნიეროდ, ალარ  
გვძინება: სალტში ღრმა სურვილია განვითარებისაღმი  
და მოწიფებით გვისმენ... .

ლექციის კითხება შევლი ისროლიდან დაიწყო  
ორშაბათს, 30/XI ბ. ა. ლომთათიძეგ. (დაქანონი 18  
კაცი). მეორე ლექცია (გაგრძელება) წარსულ ირშა-  
ბათს 7/XII წავითხა. ამ ლექციაზე ლექტორმა ნა-  
თქვამიც გა შეორა. ლექცია ორმოცამდე კაცმა მოის-  
მინა და დიდად ნას ამონებიც დარჩა... დიდად სასურ-  
ველია, ამ გვარი ლექციები ხშირად და ყველა ჩვენს  
უბანში იკითხებოდეს.., ამავე ბორეს სახლში ბ. ვ.  
ბურჯანაძე ყოველ ოთხშაბათობით კითხულობს ლექ-  
ციას ბონიბის მიერ ყალბითან. ს. ჩ. — თე

డ. ಕಾಶ್ಮೀರ ಮಂಡಿರ, 21/XI, ಕೆಷ್ಟಕುಸ್ತಿ  
ದರ. ಶಿರ್ವಿ ಪ್ರಾಥಮಿಕಾಳಗಳನ್ನು ಸ. ಪ್ರಾಚಾರಣೆಯ ಕ್ಷಾತ್ರಾಪ್ಯ-  
ಭಾ ಇತ್ಯಾದಿ. ಜಿ.ಬಿ. ಎ. ಅಂತಹಾಂಶಾಲ್ಯಾಧಿಕಿ: ಗ್ರಾಹಾಂಶಾಲ್ಯಾ  
ಶ್ರೀಸರ್ವಾಂಶಾಲ್ಯಾ ಮಾರ್ತಿಂಬ್ರ್ಯಾ ಹಾಲಾರ. ಗಂಗ್ರಹ ಇಂಶಾ ಎಂಬ್ರ್ಯಾಲ್ಯಾ  
ಬೆ-ನೊ ಪ್ರಾಥಾಂಶಾಲ್ಯಾಲ್ಯಾ, ಹಂತ ಸಂಪ್ರಾಪ್ಯಾಧಿ ಪ್ರಾಥಾಂಶಾಲ್ಯಾ ಪ್ರಾ-  
ಥಾಂಶಾಲ್ಯಾ. ಜಿ.ಬಿ. ದಾಕ್ರಸ್ಯಾಪಿ ಇಂಂಜಾ: ಸ್ವಾಂಶಾಲ್ಯಾ ಶ್ರೀ-  
ಸರ್ವಾಂಶಾಲ್ಯಾ, ಗ್ರೀ ಕಾಂಜಾ ಅಂಶಾರ ಸ್ವಾಂಶಾಂಶಾ ಮಾರ್ತಿಂಬ್ರ್ಯಾಲ್ಯಾ  
ಬೆ-ಂಶಾಲ್ಯಾ: ಪ್ರಾಥಾಂಶಾಲ್ಯಾ ನೊ, ದ್ಯುಂಭಾಂಶಾಲ್ಯಾ ಮಿಶ್ರಾಂಶಾ-  
ಲ್ಯಾ ಅಂಶಾಲ್ಯಾ ನೊಂಜಾ.

ბის გადმოცემაში, რამაც დიდი შოთაძეჭდილება დასტოდა მაუზრებლებზე. ბ. მა ად. ეთრქაიშ (ფასტინგი) გრძნებიდერი თამაშით აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოებას. რიგიანი იქ ბ-ნი ად. ქუთათელებაშიც. თავისი პატა როდი ქ-ნ ქ. კალაძემ მთხელებიდან შეასრულა. დანარჩენები ხელს უწყებდენ.

ვასები ძეირი იქ ({ მ. 25 ბ.—25 კ.). მთწავეთა ბილეთები 25 კ. დარდა და, როგორც ასბობენ, კიდევ უნდათ მოუმატონ. უშიშობთ ამით მთწავენი არ შემოიყანოთ. **კაკალი**

**დ. ლაგოლეზი** კვირას, 22/XI ადგილობრივ საქაზარმო დარბაზში სოფ. ალექსეევის სცენის მოყვარეებმა და ტუვევებულთა სასრულებლოდ რუსულ ენაზე წარმოადგინეს 4 მოქ. დრამა: „*შემატება*“, ქ-ნ ბოროსტინის, პეტროვსკის, ბ. ბ. ბოროსტინის, იასტრუმბოვისა და ბრამის და სხ. მონაწილეობით პიესამ სუსტად ჩაიარა. ბრამა წაიკითხა „*შეშლ დი*“; სესტუგერგილო იყო. დასასრულ იმღერეს და იცვეკეს ჯარის კაცებმა. ბოლოს დასლებს ცოტალი სურათები: „*საღამო ელადაში*“ და „*უღების ჭიშართან*“, რომელებიც მომხიბლავი იყო, მაგრამ მხოლოდ უზრი მომზადებულთათვია. საჭიროა წრის გამეობამ „*შეაღინონ* ნისჩირი სათეატრო ბუფეტისათვის და ძალით მოჩერების უფლებაც არავის მისცეს. რ—ენტი

## წ ვ რ ი ლ ი პ ა მ ი ე ბ ი

◆ გაზაფაველას საღამო, „ხარფუხის კლუბში“ გამამართება მიმავალ შაბ., 19 ქრისტეშობისთვეს. ხარფუხის ჩამასახლისთვის საბჭოს განუზრახავს დიდის ხეიმით მოაწყოს საღამო. შემოსავლი ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად გადიდება.

◆ ხარცულის საზ. კლუბში—გაუა-ტშაველას საღმოში მონაწილეობას მიიღობენ ივ. გომართელი, დ. კასრაძე, ნ. დ. ერისთავი, ახალგაზდა მგონები და სხ. სხვათა შიონის გურული მომღერალი არიან მოწვეული დაიღმის ცხოველი სურათებიც.

◆ ორგოცის პანაზილი ჭო—ა ლომთათის ს სულის მოსახსენებლად გადაკდოლ იქნება ხეალ, კვირას, წმ. ნინოს სასაფლაოზე, დღის 11 ს

◆ ზოლა ლომთათისის სხვა და სხვა ზომის სურათები მოამზადა ფოტ. ილ. სტურუმშ (ვოგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის პირდაპირ).

◆ შემდეგ რომერ ში დაიმეტება „*პოლა ლომთათიძე*“, როგორც ადამიანი“, დახასიათება მისივე ჯვრ დაუბეტლავ კერძო წერილებით

◆ რასთველ მოღავეთა პგარაკისთვის ქართ. კულტ. მოყვარეთა საზოგადოებას დღემდე მიუღია 519 მ. 54 კ.

◆ მიმი ავაღმოლი ჩვენი მსახილბ-რეგისორი ვ. შალიკაშვილი და სახალხო მოლექს-მოღაწე ვ. კირვალიძე ამ უამად ბალახანის ნავთის მრეწველთა სავადმყოფოში წევანა.

◆ ძართ. დართ. დასის მიერ კ. ანდრონიკაშვილის რეჟისორობით ოთხშაბათს 16/XII ქრისტეშობისთვეს ესიკოგვის ცირკში—წარმოადგენილი იქნება სოფოკლეს ტრილოგიის უკანასკნელი ნაწილი („შოთა დიპის მეფის დასასრული“) „ანტიგონე“. განსამარტინელ სიტყვას წარმოსთხოვს გრ. რობაქიძე.

◆ 3. გულია 20 ქრ. ქუთაისს მიდის საგასტროლოდ.

◆ ზარიოსადგენად გზადღება ჰეიზეს დრამა „მარიამ მაგდალინელი“.

◆ 3. ზალიკაზვილის ზოსახებ წერილი უკვე ამოწყობილი გვერნდა, როდესაც გვაცნობეს, თბილისის დრამ. დას გადაუწყვეტია ამ მოკლე ხაზში მის სასარგებლოდ წარმოადგენა გამართოს.

◆ „ახალი კლუბის სცენა მაღლებასრულდება. სხვათა შორის მიწვეულია ქართ. დრამ. დას განსაკუთრებით. ირიგინალურ პესტის დასადგმელად, ლამზადებულია შესაფ რი დეკორაციები ვ. ს.-ერისთავისა და ნ. ნაღებაშვილის მიერ.“

◆ კაბაბაზის ტრადიციულ საღამოში 25/XII მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან გაწვეულია ი. გრიშვაშვილი.

◆ 0. გრიშავილის „გენაცვალე“, სასიმღეროდ გადაკეტებული, უკვე გაიყიდა და მაღლე მეორედ გამოიცემა.

◆ 6. ზიფიანის „სიზმარი“ ცალკე წიგნკად იძებულება

◆ 8. 0 ჩუბინაზვილი სახალხო სახლში საღლესასწაულოდ საკუთარ ნაწარმოებთა კონცერტს მართავს.

◆ 86. პაბლობეგლება დასწორა ახალი დრამა „ახალგანდობა“, დრ. ვ მოქ. 4 სურ სტუდიუბის ცხოვრებიდან და „სიყვარულის ზღაპარი“, დრამატ. პოემა, 5 მოქ., პროლოგით და ეპილოგით.

◆ ბოლქოვის საზოგადო საკურებულოში აიღო იჯარით მომავალის 1916 წ. სტინისათვი.

◆ სოც. პავის ვლახთა თაოსნობით ბეკაში ააგეს სათეატრო შენობა და სამკითხველოს მოწყობასაც შეუძლენ. გლეხთა რწმუნებულნი გლეხნი გორა ჩინკაძე და პეტრე ლალ აშენლი სოხუმენ გულშემატებით შემწეობა აღმოუჩინონ წიგნებით, კურნალ-გაზეთებით და სხ. მისამართი: ცურამ (c. ხეკამი) Петრუ ლალუაშვილი.

## რუსთა შორის

◆ „ვეზების ტრაორების“ შინარსილან ახალოთხ მოქმედებიან ბალეტსა სწერს კომპ. მ. მ. იპოლიტოვინოვი.

# 1916 გილეგა ხელის მოწერა 1916 ფლისათვის 1916

უოფელკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაგარის სურათების უფრონალი იუმორისტული განყოფილებათ შარქებით და კარიკატურებით

რელიფადი  
გოთები

“თ მ ა ტ რ ი დ ა ც ე ტ ვ ა მ ა ბ ა”

რელიფადი გამოცემისა გოთები

რელიფად  
ნ გან.  
ნახ. ჭლ.  
კ გან.

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

უფრონალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულბისა

უფრონალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 გ., ნახევ წლით — 3 გ. ფულის შემოტანა ნაწილ ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს — 2 გ. მასში — 2 გ. ენკენისთვეს 1 გ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე უემოიტანს, ავა ქრისტიშანით თვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სრაზაში (მაღაზოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარ, ხიდის ყურში, მუხრან-ბატუნის სახ.). იასები იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: თიფლის, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ — იო. იმედაშვილი.

ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამამცემელი ანა იმედაშვილისა

სარვუსის საზ. კლუბი № 131

ერთი კერძის პროგ. 12—19 ქრისტოვი

შაბათის სიმებიანი ორკესტრი პრესმანის

კერძია ლოტ ბარობით

თრუბა. სინემატოგრაფი; საზანდარი

სამზად. ქართ. წარმოდგენა

თოხზად. სინემატოგრაფი.

ხუთმზად. მუსიკა სამებ. ორკესტრი

პარასკ. საზანდარი, სინემატოგრაფი

შაბათი ვაჟ-ფშაველას საღამო

კერძია მუსიკალური საღამო

შესაბალი ფასი: მამაკანი — 30 კ. ქალები დ.

სტუდენტები — 20 კ. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

გ ე გ რ ი რ ი ს ალიტერ გაზეთია

წლიურ ხელისმომწერლებს მიეცემათ პრემიათ

♦♦♦. მაიაშვილის წერადების ქრებული ♦♦♦

ნახევარი წლის ხელის მომწერნი პრემიას მიღებენ იმ

შემთხვევაში, თუ გადაიხდიან 1 მან. და 10 შაურს.

გაზეს ყავს საკუთარი კურსების დროის საქართველოს

ყველა დაბა-ქალაქსა და რუსეთის სატა. მანავერი

გაზეთის ფასი: პირველი იანვრიდან წლის ბოლომდრი გაზეთი წლირება 9 მან., ნახევარი

წლით — 5 მ.ნ., სამი თვეთ — 2 მ.ნ. 3 აბაზი,

თვეში 18 შაური. ცალკე ნუმ. ყველ. 1 შ.

წლის ხელის მომწერლებს შეუძლიათ სამ ნაწილად

გაყონ ფულის შემოტანა: პირველ იანვ. — 3 მ. 10 შ.

1 აპრილ — 3 მ. 1. გვა. 2 მ. 10 შ. ნახევარი წლი-

ხელ. მომწერლებს შეუძლ. ორ ნაწ. — 1 აბ 3 მან.

პრემიელ აპრილს 2 მან. მისამართი: კუთასი, რედ.

გაზ. „Megobari“ თიტუ მახარ. სიხარულიძე.

მსიპოვსკის ცირკ-რეპრილდები

თოხშაბათი, 16 ქრისტემბობსოვებ, 1915 წ.

ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება სოფოკლეს ღიდებული ტრადედია ანტიური ცხოვრებილნ

# ა ნ ტ ი გ რ ი ნ ა

წარმოდგენის წინად გრ. რობაქიძე წაკითხავს მოხსენებას ანტიური დრამისა და ანტიგონეს შესახებ. წარმოდგენაზე დამსტრეთათვის გაიმართება სინემატოგრაფიული სურათები არს განყოფილებად.

მონაცილები: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქაძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ.. ბ-ნი: აბაშიძე ვ., გუნია., გორგალაური ზ., თარლაშვილი ი. მედაშვილი ა., იშხნელი გ., მამურარი ი., მგალიბლიშვილი დ., კივიძე ი. ადგილების ფასი 10 კ.—1 მან.-დე.

და აწყის საღამოს 8 საათზე.

რეკისორი ანდრია ნიკაშვილი დ.

დრამ. საზ-ის გამ-ის მორიგი წერა შ. მესხიშვილი ადგილების ფასი 15 კ-დან 1 მ. 15 კ-დე.

შემდეგი წარმოდგენა 21 ქრისტიშობისთვეს.

# ნ ა მ რ ე ბ ი „ ქ ვ რ მ რ ე “

ახლად შეკეთებულია. საუცხოვებ მოწყობილია, სუცთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შეაგულს, ვორონცოვის ქეგლთან. ნომრები თოხი აბაზიდან. ნომრები სამზადულო, ცხელი და ციფრი წყლით (დუში და ანა). თბ., მიხ. პრ. № 5. ტელ. 13—14 (ტ)

რედაქტ. გამომც. ანა იმედაშვილისა დავილენი ვენცური სტამბა „სორაპანი“